საქართველო

ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი

სესხი: 3520-GEO

დავალების სახელწოდება: გარემოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი კომპანია

BBRP/CS/CQS-01

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკისაგან მიიღო დაფინანსება ბათუმის შემოვლითი გზის პროექტის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

აზიის განვითარების ბანკი წარმოადგენს პროექტის წამყვან დამფინანსებელ პარტნიორს და ახორციელებს მის ადმინისტრირებას არსებული თანა-დამფინანსებლის სახელითაც.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ადგილობრივ კომპანიებს ინტერესის გამოსახატავად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გარემოს გარე მონიტორინგის კონსულტანტი კომპანია**

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

შერჩევა განხორციელდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის (Consultant's Qualification Selection (CQS)) გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე: https://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იქნას ინგლისურ ენაზე აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=190799** მეშვეობით, არაუგვიანეს 2023 წლის 6 სექტემბრისა.